



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№ 1-1/237

14 / მაისი / 2018 წ.

იმერეთის რეგიონში მდინარე ბჟოლის ხევზე „მარელისი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამომხატვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამომხატვის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ანუკი ბატიაშვილის 2018 წლის 16 აპრილის N1423 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ინტერესთა გამომხატვა იმერეთის რეგიონში მდინარე ბჟოლის ხევზე „მარელისი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.
2. დამტკიცდეს „იმერეთის რეგიონში მდინარე ბჟოლის ხევზე „მარელისი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე“ ინტერესთა გამომხატვის პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. წინამდებარე ბრძანება და თანდართული „იმერეთის რეგიონში მდინარე ბჟოლის ხევზე „მარელისი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე“ ინტერესთა გამომხატვის პირობები განთავსდეს სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.economy.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი



დიმიტრი ქუმსიშვილი